

---

---

---

2012-2017

საქართველო  
მსოფლიო რეიტინგებში



მოცემული მონაცემები ეყრდნობა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ანგარიშებს და შეფასებებს:

1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“
2. Frazer Institute - „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“
3. Heritage Foundation - „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“
4. მსოფლიო ბანკი - „ბიზნესის კეთება“
5. მსოფლიო ბანკი - „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი“
6. საერთაშორისო საბიუჯეტო თანამშრომლობა - „ღია ბიუჯეტის ინდექსი“
7. საერთაშორისო გამჭვირვალობა - „კორუფციის აღქმის ინდექსი“
8. მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი - „ღია მმართველობის ინდექსი“
9. მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი - „კანონის უზენაესობის ინდექსი“
10. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - „გლობალური ინოვაციის ინდექსი“

2012-2017 წლებში საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმა განხორციელდა. საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებები (მათ შორის, სიტყვისა და მედიის თავისუფლება), გამჭვირვალობა, კორუფციისგან გათავისუფლება, ეფექტიანი მმართველობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიტიკური პლურალიზმი. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში ჩატარდა არა ერთი, არამედ ორი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში.

## ეფექტური და გამჭვირვალე მთავრობა

მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტიტუტების დადებითი შეფასება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობის და ეფექტურობის მხრივ. ეს ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს შეფასების და გაუმჯობესებული სარეიტინგო მდგომარეობით:

- **მთავრობის გადაწყვეტილების უპირატესობა**, რომელსაც აფასებს „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016-2017“ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ - საქართველოს პოზიციები ბოლო 6 წლის განმავლობაში 9 ადგილით გაუმჯობესდა და 2017 წელს 45-ე პოზიციაზეა;

აღსანიშნავია, რომ რეიტინგი ეყრდნობა არა ოფიციალური სტრუქტურების, არამედ რიგითი მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა შეფასებას.

<http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/>

Frazer Institute „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ 2016 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს 2014 წელს მე-5 პოზიციაზეა ნაცვლად 2012 წელს მე-14 ადგილისა;

- „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების“ 2016 წლის ანგარიში პოზიტიურად აფასებს **სახელმწიფო ინვესტიციებს**. აღნიშნულ კომპონენტში, საქართველოს მდგომარეობა 28 პოზიციით გაუმჯობესდა და 30-ე ადგილზეა.

<http://www.freetheworld.com/>

- **მთავრობის დანახარჯების** კომპონენტში Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2012 წლიდან დღემდე საქართველოს მდგომარეობა 41 პოზიციით გაუმჯობესდა და 2017 წელს 68-ე ადგილი დაიკავა (2012 წელს 109-ე ადგილი);

<http://ww.heritage.org/index/>

- მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი“ საქართველოს წინსვლა 2016 წელს, კერძოდ: **რეგულაციების ხარისხის** მიხედვით საქართველოს მდგომარეობა 12 ადგილით გაუმჯობესდა (2012 წელს 57-დან 2015

წელს 45-მდე). **გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება** - საქართველოს მდგომარეობა 15 ადგილით გაუმჯობესდა (2012 წელს 107-დან 2015 წელს 92-მდე).

თითოეული ინდიკატორი ფასდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორცაა: მოქალაქეთა, მეწარმეთა, საჯარო და კერძო სექტორში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ექსპერტთა შეხედულებები და მოსაზრებები.

<https://info.worldbank.org/governance/wgi/index.asp>

- „**ღია ბიუჯეტის ინდექსის**“ თანახმად, საქართველოს სარეიტინგო პოზიციები 2015 წელს 2012 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 66 ქულით 102 ქვეყანას შორის მე-16 პოზიციას იკავებს. 2012 წელს ქვეყნის სარეიტინგო ქულა 55-ს შეადგენდა და 33-ე ადგილზე იმყოფებოდა;

<http://www.internationalbudget.org/opening-budgets/>

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „**ღია მმართველობის ინდექსის**“ 2015 წლის შეფასებით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილს იკავებს, ხოლო მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 29-ე პოზიციაზეა (0,61 ქულა);

- „ღია მმართველობის ინდექსის“ შეფასებით, **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით** 2015 წელს საქართველო მე-16 პოზიციაზეა (0,70 ქულა) და OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩეული წევრია.


<http://worldjusticeproject.org/open-government-index>

# საკუთრების უფლებები

2012-2016 წლებში საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იყო საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვა, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში მასობრივად ილახებოდა. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა: შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტები, რომელთაც წინა წლებში არსებული დარღვევების სამართლებრივი შესწავლა დაევალებათ. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლო სისტემის დეპოლიტიზირებამ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთრების დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მართებულობა დადასტურდა საერთაშორისო რეიტინგებშიც.

- **საკუთრების უფლებების** კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 77 პოზიციით გაუმჯობესდა და 43-ე ადგილზე



გადმოინაცვლა;

- **ინტელექტუალური საკუთრების დაცვის** კომპონენტში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით, ქვეყნის მდგომარეობა 6 ადგილით გაუმჯობესდა და 99-ე პოზიცია დაიკავა.


მნიშვნელოვანია, რომ რეიტინგი მოსახლეობის განწყობას ასახავს - მისი მეთოდოლოგია არა ოფიციალურია, არამედ კერძო სექტორის გამოკითხვებს ეყრდნობა.

<http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/>

- **საკუთრების უფლების დაცვის** კომპონენტში Frazer Institute-ის 2016 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ მიხედვით, 2012 წელთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 56 ადგილით გაუმჯობესდა და 61-ე ადგილზეა;

„მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება“ ზომავს ქვეყნებში განხორციელებული კურსისა და ინსტრუქციების ხარისხს, რაც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას. მონაცემები, რომლებიც ყოველწლიურად მუშავდება, დაფუძნებულია მხოლოდ ობიექტურ, მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებსა და დამოუკიდებელ კვლევებზე 159 ქვეყნისთვის. მონაცემების წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

<https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom-of-the-world-2016-annual-report>




# სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის ანგარიშში „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ პოზიტიურად აფასებს საქართველოში ბაზრის ეფექტიანობას. 2012 წელთან შედარებით ქვეყნის შეფასება 28 პოზიციით გაუმჯობესდა და 2017 წელს 46-ე ადგილი დაიკავა. ქვეყნის მდგომარეობა შემდეგ კომპონენტებში გაუმჯობესდა:

- **ადგილობრივი კონკურენციის სიმლიერე** 50 პოზიციით გაუმჯობესდა და 128-ე ადგილიდან 78-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ბაზარზე დომინანტის მოცულობა** 36 პოზიციით გაუმჯობესდა და 112-ე ადგილიდან 76-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **გადასახადის ეფექტი ინვესტიციებზე** 24 პოზიციით გაუმჯობესდა და 35-ე ადგილიდან მე-11 ადგილზე გადმოინაცვლა;
- **სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა** 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 37-ე ადგილიდან მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ბიზნესის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე** 30 პოზიციით გაუმჯობესდა და 53-ე ადგილიდან 23-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **საბაჟო პროცედურების ტვირთი** 15 პოზიციით გაუმჯობესდა და 27-ე ადგილიდან მე-12 ადგილზე გადმოინაცვლა.

<http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/>





# ბიზნესის კეთება

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, რაც სხვადასხვა რეიტინგებში პოზიტიურად აისახა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში ბიურიკრატიული წნეხის არქონას და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას.

- მსოფლიო ბანკის კვლევის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში, 2017 წელს საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა 80,20 ქულით.

2017 წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველომ 4 ადგილით უკან გადაინაცვლა, რაც ძირითადად მეთოდოლოგიის ცვლილებამ განაპირობა. მიუხედავად ამისა, საქართველო კვლავ გამოირჩევა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, როგორც ქვეყანა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უკეთესი და უფრო ეფექტიანი რეგულირების მიმართულებით.

„ბიზნესის კეთების“ 2017 წლის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს 164 ქვეყანას, მათ შორის - გერმანიას, ირლანდიას, ავსტრიას, ლიტვას, კანადას, პოლონეთს, პორტუგალიას, ჩეხეთს, ნიდერლანდებს, საფრანგეთს, შვეიცარიას, ესპანეთს, იაპონიას, იტალიას და სხვ.

2017 წელს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 25 ქვეყანას შორის საქართველომ მე-3 პოზიცია დაიკავა.

2017 წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია გაუმჯობესებულია შემდეგ კომპონენტებში:

- **კრედიტის მიღება** 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-9 ადგილიდან მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა;
- **მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა** 13 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-20 ადგილიდან მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა.
- **კონტრაქტების აღსრულება** 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 39-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა.
- **გადასახადების გადახდა** 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 45-ე ადგილიდან 22-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

- **ელექტროენერჯის მიღება** 49 პოზიციით გაუმჯობესდა და 88-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

„ბიზნესის კეთების“ რეიტინგში 2017 წელს, საქართველო ხუთი კომპონენტით - ქონების რეგისტრაცია (მე-3 ადგილი), კრედიტის მიღება (მე-7 ადგილი), მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა (მე-7 ადგილი), ბიზნესის დაწყება (მე-8 ადგილი) და მშენებლობის ნებართვის მიღება (მე-8 ადგილი) მსოფლიო მასშტაბით ქვეყნების პირველ ათეულში შედის.

<http://www.doingbusiness.org/>

Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2017 წელს საქართველო 13-ე პოზიციაზეა უმეტესად თავისუფალი სტატუსით და მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უჭირავს ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ:

- **ბიზნესის თავისუფლება** 7 პოზიციით გაუმჯობესდა და 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ინვესტიციების თავისუფლება** 15 პოზიციით გაუმჯობესდა და 36-ე ადგილიდან 21-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

<http://www.heritage.org/index/>


- **უცხოური ინვესტიციების/საკუთრების შეზღუდვის** ქვეკომპონენტში Frazer Institute-ის 2016 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ მიხედვით, 2012 წელთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 37 ადგილით გაუმჯობესდა და 84-ე ადგილიდან 47-ე ადგილზეა.

<https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom-of-the-world-2016-annual-report>

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით საქართველომ 2012 წელთან შედარებით სარეიტინგო მდგომარეობა გაიუმჯობესა შემდეგ კომპონენტებში:

- ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების რაოდენობა - საქართველო მე-3 პოზიციას იკავებს 138 ქვეყანას შორის (2012 წელს მე-8 ადგილი);
- სესხზე ხელმისაწვდომობა - 27 პოზიციით გაუმჯობესდა და 79-ე ადგილიდან 52-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

<http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/>



# მაკროეკონომიკური გარემო

საქართველოს მთავრობა სწორ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას წარმართავს. შედეგად, მიუხედავად რეგიონში განვითარებული რთული მოვლენებისა, საქართველოს მთავრობამ შეძლო, ეფექტიანად ეპასუხა არსებულ გამოწვევებზე. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა რეგიონში, რომელმაც დაბალი ეკონომიკური ზრდის გარემოდან გამოსვლა დაიწყო.

მდგრად მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევები.

- საქართველოში არსებული **მაკროეკონომიკური გარემო** პოზიტიურად ფასდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით. კერძოდ, საქართველო 2017 წელს 2012 წელთან შედარებით 97 პოზიით დაწინაურდა და ნაცვლად 137-ე ადგილისა 40-ე ადგილზე იმყოფება. 2017 წელს 2012 წელთან შედარებით ქვეყნის მდგომარეობა აღნიშნული ინდიკატორის ყველა კომპონენტში გაუმჯობესდა:
  - **სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის პროცენტული შეფარდება მშპ-სთან** - საქართველოს შეფასება 2012 წელთან შედარებით 63 ადგილით გაუმჯობესდა და 2017 წელს 24-ე ადგილზეა;
  - **ეროვნული დანაზოგების წილი მშპ-სთან** 77 ადგილით გაუმჯობესდა - ნაცვლად 2012 წელს 135-ე ადგილისა, 2017 წელს საქართველო 58-ე ადგილზეა;
  - **ინფლაციის წლიური პროცენტული ცვლილება** 35 ადგილით არის გაუმჯობესებული - ნაცვლად 2012 წელს 115 ადგილისა, საქართველო 2017 წელს 80-ე ადგილზეა;
  - **მთავრობის ვალის პროცენტული მიმართება მშპ-სთან** 2012 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია 10 ადგილით გაუმჯობესდა და 2017


წელს 56-ე ადგილზეა;

- ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი 14 პოზიციითაა გაუმჯობესებული - ნაცვლად 2012 წლის 97-ე ადგილისა, 2017 წელს 83-ე ადგილი.

<http://reports.weforum.org/global-competitiveness-index/>

- მონეტარული თავისუფლების კომპონენტში Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველომ 2012 წელს არსებული 109-ე ადგილიდან 2017 წელს 92-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

<http://www.heritage.org/index/>



# კორუფციისგან თავისუფლება

სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია კორუფციის კონტროლი და კორუფციისგან თავისუფალი ბიუროკრატიული ინსტიტუტების არსებობა.

2012-2016 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმულმა ნაბიჯმა (მათ შორის ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებამ, საერთაშორისო რეკომენდაციების ეფექტიანმა შესრულებამ, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებამ, მამხილებელთა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებამ, სახელმწიფო სერვისების მიწოდების ინოვაციურმა მიდგომებმა, მართლმსაჯულების რეფორმამ, პროკურატურის ინსტიტუციურმა რეფორმამ), ასევე ღიაობისა და სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევამ განაპირობა საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესება სხვადასხვა ინდექსებში:

- საერთაშორისო გამჭვირვალობის „**კორუფციის აღქმის ინდექსით**“ საქართველომ 2016 წელს ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია და მსოფლიოს 176 ქვეყანას შორის 44-ე ადგილზეა (2012 წელს საქართველო 51-ე პოზიციაზე იმყოფებოდა);

ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, „კორუფციის აღქმის ინდექსში“ საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 4 ადგილით გაუმჯობესდა და 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა, 100-ქულიან შკალაზე 57 ქულით (სადაც, 0-ძალიან კორუმპირებულ, ხოლო 100-ძალიან სუფთა საჯარო სექტორს ნიშნავს). აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა (2014 წელს მე-2 პოზიცია ეკავა) და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა - მონტენეგრო, მაკედონია, თურქეთი, სერბეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ალბანეთი და სხვ. საქართველოს საშუალო ქულა - 57 მნიშვნელოვნად აღემატება როგორც რეგიონის საშუალო ქულას (54 ქულა), ასევე მსოფლიოს საშუალო ქულას (43 ქულა);

[https://www.transparency.org/news/feature/corruption\\_perceptions\\_index\\_2016](https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016)

- პოზიტიურად აფასებს Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ **მთავრობის სამართლიანობას** (კორუფციისგან თავისუფლება). 2017 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია 38 ადგილით გაუმჯობესდა და ნაცვლად 69-ე ადგილისა რეიტინგში 31-ე ადგილი დაიკავა;

<http://www.heritage.org/index/>


- მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის“ 2016 წლის კვლევის მიხედვით, კორუფციის კონტროლის ინდექსი 2015 წელს საქართველოს შეფასება 8,14 ქულით გაუმჯობესდა და 72,6 ქულა შეადგინა. საქართველომ 2015 წელს რეიტინგში 58-ე ადგილი დაიკავა და მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 18 პოზიციით გაიმჯობესა, მაშინ როდესაც 2012 წელს 76-ე ადგილზე იყო ქულით 64,5.

<http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home>

- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი “კანონის უზენაესობის ინდექსის“ მიხედვით **კორუფციის არ არსებობის** კომპონენტში 2016 წელს საქართველო 22-ე ადგილზეა 113 ქვეყანას შორის და რეგიონში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველ პოზიციას იკავებს.

ინდიკატორი 4 მიმართულებით აფასებს ქვეყანაში კორუფციის არ არსებობას, კერძოდ, კორუფციის არ არსებობა აღმასრულებელ შტოში (0.71 ქულა), სასამართლოში (0.66 ქულა), პოლიციაში/სამხედრო სამსახურში (0.92 ქულა) და საკანონმდებლო ორგანოში (0.62 ქულა).

<https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2016>



# ინოვაციები

2017 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის ანგარიში აფასებს 127 ქვეყნის მონაცემებს ინოვაციური პროგრესისა და ეკონომიკის შესახებ. მასში მოცემული 81 ინდიკატორი მოიცავს ვრცელ მონახაზს ინოვაციის, პოლიტიკური გარემოს, განათლებისა და ბიზნესის დახვეწილობის ჩათვლით.


- ინოვაციის ინდექსში 2017 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველო სარეიტინგო პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა და 71-ე ადგილიდან 68-ზე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

<https://www.globalinnovationindex.org/home>

მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) კვლევა, რომელიც ელ-მთავრობის შეფასებას ახორციელებს. ელ-მთავრობის გამოკითხვა (E-government survey) არის საექსპლუატაციო ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული მთავრობის განვითარების შედარებით შეფასებას სხვა გაეროს წევრ ქვეყნებთან. მასში მოცემულია ქვეყნის ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმოხილვა რეგიონისა და გლობალურ მასშტაბებზე.

- საქართველომ 2012 წლიდან 2016 წლამდე 11 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 72-ე ადგილიდან 61-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

<https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/#.WWNSudSGPcs>





## სასამართლოს დამოუკიდებლობა და ეფექტურობა

- სასამართლოს დამოუკიდებლობის კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 28 პოზიციით გაუმჯობესდა და 91-ე ადგილიდან 63-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობის კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 29 პოზიციით გაუმჯობესდა 82-ე ადგილიდან 53-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

<https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2016-2017-1>


- მიუკერძოებელი სასამართლოს კომპონენტში Frazer Institute-ის 2016 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუმჯობესდა და 58-ე ადგილზეა 2012 წლის შედეგთან შედარებით;
- დამოუკიდებელი მართლმსაჯულების კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2012 წლის შედეგთან შედარებით 22 პოზიციით გაუმჯობესდა და 2016 წელს 59-ე ადგილზეა;

<http://www.freetheworld.com/>

- კანონის უზენაესობის კომპონენტში მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის“ 2016 წლის კვლევის მიხედვით, 2014 წელს საქართველოს

მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 73-ე ადგილზე იმყოფება (2014 წელს - 75-ე ადგილი);

<http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home>



# სამართალდაცვა

საქართველოს მთავრობის მიერ სამართალდამცავ სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კრიმინოგენული მდგომარეობა, მათ შორის, ბიზნესის დაცვის მიმართულებით. ეს პოზიტიურად აისახა როგორც ადგილობრივი ბიზნესის დანახარჯების შემცირებაზე, ისე პოტენციური ინვესტორების განწყობაზე.

- **პოლიციის მომსახურების სანდოობის** კომპონენტში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2011-2012 წლის ანგარიშთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ორგანიზებული კრიმინალის** კომპონენტში 2012 წელთან შედარებით 41 პოზიციით გაუმჯობესდა და 67-ე ადგილიდან 26-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე** კომპონენტში 2012 წელთან შედარებით 31 პოზიციით გაუმჯობესდა და 69-ე ადგილიდან 38-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- **ბიზნესის დანახარჯები სამართალდარღვევების** კომპონენტში საქართველოს მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 26 პოზიციით გაუმჯობესდა და 44-ე ადგილიდან მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა;

<https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2016-2017-1>

- **პოლიციის საიმედოობის** კომპონენტში Frazer Institute-ის 2016 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2012 წლის შედეგთან შედარებით 8 პოზიციით გაუმჯობესდა და 30-ე ადგილზეა;

<http://www.freetheworld.com/>

- პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობასთან ბრძოლის კომპონენტში მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის“ 2016 წლის კვლევის მიხედვით, 2015 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 19 პოზიციით გაუმჯობესდა და 141-ე ადგილზეა.

საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილი რეიტინგების ყველა კომპონენტი უშუალოდ საქართველოში მომუშავე ბიზნესსექტორის გამოკითხვებს ეყრდნობა.

<http://info.worldbank.org/governance/WGI/#home>

